



საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესრულების შესახებ

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	4
მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	5
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	5
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	5
საქართველოს კონტროლის პალატის პასუხისმგებლობა	6
აუდიტებთან და მოხსენების ფარგლებთან დაკავშირებული შეზღუდვები	6
საქართველოს მთავრობის ანგარიშის მოცულობა და ფარგლები	6
ზოგადი შეფასება/ დასკვნა	7
მიმოხილვა, აუდიტის შედეგების განზოგადება და რეკომენდაციები	7
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები	7
შემოსავლები	9
არაფინანსური აქტივების კლება	11
ფინანსური აქტივების კლება	12
სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები	12
ხარჯები	13
ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია	15
ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების მაჩვენებლების შესრულება	16
სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდები	16
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	16

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	16
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	17
საქართველოს სახელმწიფო ვალის ფორმირება და მართვა	17
საჯარო სამართლის იურიდიული პირები	19
სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო და მისი დაბალანსების მდგომარეობა	21
მნიშვნელოვანი შეუსაბამობების თაობაზე ანგარიშში მოცემული განმარტებების შესახებ	23
მხარჯავი დაწესებულებები მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერის შესახებ	23
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	25
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა	25
რეკომენდაციები	26

შესავალი

საქართველოს კონტროლის პალატის წინამდებარე მოხსენებაში მოცემულია საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარმოდგენილი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ (შემდგომში: ანგარიში) შემოწმებისა და სამთავრობო დაწესებულებათა აუდიტის შედეგები, მათი შეფასება და რეკომენდაციები გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების თაობაზე; მოხსენებაში ასახულია ინფორმაციები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ.

საანგარიშო პერიოდის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 2009 წლის პირველ ნახევარში საქართველოს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა ეკონომიკა რეცესიის ყველაზე სიღრმისეულ ეტაპს გადიოდა; საქართველოს შემთხვევაში კი აღნიშნული მდგომარეობა დრამატულად დაამძიმა რუსთის სამხედრო ინტერვენციამ, რომლის შედეგიც გახლავთ ეკონომიკური აქტივობის შემცირების გამო ფისკალური მაჩვენებლების შემცირება.

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები

1. მოხსენება მომზადებულია „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 234-ე მუხლის მე-4 პუნქტითა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-19 და 57-ე მუხლით საქართველოს კონტროლის პალატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში

მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები

2. მოხსენების მომზადებისათვის გამოყენებულია:

- ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2010 წლის 31 მარტს საქართველოს პარლამენტში წარდგენილი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“;
- ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები;
- გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები) მიერ შედგენილი ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები;
- დ) კონტროლის პალატის მიერ მხარჯავ დაწესებულებებში ჩატარებული აუდიტის მასალები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე (წლიური ანგარიშის მომზადებაზე) პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა (შემდგომში: მთავრობა)
4. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

5. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა და სამთავრობო დაწესებულებები.
6. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი სამთავრობო დაწესებულება.

საქართველოს კონტროლის პალატის პასუხისმგებლობა

7. მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს კონტროლის პალატა ამოწმებს 2009 წლის ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობების მთავრობის წლიურ ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, აგრეთვე ხარჯების კანონიერებას.
8. მოხსენების მომზადებისას გამოყენებულია საქართველოს კანონმდებლობა, ხოლო აუდიტ(ებ)ის წარმართვისას საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებიც.

აუდიტებთან და მოხსენების ფარგლებთან დაკავშირებული შეზღუდვები

9. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებულია 2009 წლის 18 დეკემბერს, ფაქტობრივად, 2009 საბიუჯეტო წლის ბოლოს და ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან - ანუ საქართველოს მთავრობა საჯარო ფინანსებს მართავდა მანამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.
10. „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონი საბოლოო სახით მიღებულია 2010 წლის 26 მარტს - აუდიტის პერიოდში აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ არსებობდა შიდა აუდიტის სისტემა, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხია საჯარო ფინანსების მართვის, აგრეთვე, საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით წარმართული აუდიტისა და აუდიტის შედეგების სისრულისა და სანდოობისათვის.
11. საქართველოში არ არის დანერგილი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS), რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით აუდიტის ჩატარების შესაძლებლობას.
12. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ბოლო ცვლილება შევიდა 2009 წლის 4 დეკემბერს, შესაბამისად, ანგარიშში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობების ასახვის სიზუსტე და სისრულე, აგრეთვე ხარჯების კანონიერება შემოწმებულია ამ კანონთან მიმართებაში.

საქართველოს მთავრობის ანგარიშის მოცულობა და ფარგლები

13. ანგარიში უნდა მოიცავდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემდეგ ინფორმაციას დეტალური სახით:
 - 13.1. სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
 - 13.2. მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;
 - 13.3. ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
 - 13.4. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
 - 13.5. ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, გარდა იმ ფონდებისა, რომლებსაც წლიური საბიუჯეტო კანონი ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სახით;
 - 13.6. ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;
 - 13.7. ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის დაუფარავი ვალების თაობაზე);
 - 13.8. მხარჯავი დაწესებულებების მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერას;

ზოგადი შეფასება/ დასკვნა

14. მხარჯავ დაწესებულებებში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი ფაქტების, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინის მონაცემების საფუძველზე, ანგარიში

ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება¹ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებულ მაჩვენებლებს, და ფინანსურ ანგარიშგებებს რომლებიც მთავრობის ანგარიშს დაედო საფუძვლად.


მიმოხილვა, აუდიტის შედეგების განზოგადება და რეკომენდაციები

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები


15. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით (რომელთა გაანგარიშება ეფუძნებოდა 2009 წლის 11 თვეში მიღებული შემოსულობების ფაქტობრივ მოცულობას) 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების საბოლოო პროგნოზი განისაზღვრა 6 465,5 მლნ. ლარის ოდენობით, ხოლო შესრულებამ 6 351,3 მლნ. ლარი ანუ გეგმის 98,2% შეადგინა.
16. 2006-2008 წლებში შემოსულობების ფაქტობრივი მოცულობა ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა, ხოლო 2009 წლის შემოსულობების ოდენობა 2008 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 88,5 %-ს შეადგენს.
17. ვალდებულების ზრდით მიღებული სახსრების მთლიან მოცულობაში ბიუჯეტის მხარდამჭერ კრედიტებზე 43,2 % პროცენტი ანუ, 452.5 მლნ. ლარის ოდენობა მოდის. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის კრედიტის აღების აუცილებლობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად წარმოიშვა.

¹ იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიში შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის 2009 წლის სრულ: 12 თვიან პერიოდს, ხოლო „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შევიდა 2 ჯერ: 2009 წლის 11 ივლისს და 2009 წლის 4 დეკემბერს, ანგარიშში ასახული მონაცემები შეუსაბამოა იყო კანონით დადგენილ თავდაპირველ/დაზუსტებულ საბიუჯეტო პარამეტრებთან

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)



2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა




შემოსავლები


18. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის შეუსრულებლობის პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი შესრულდა 0,5%-ის გადაჭარბებით, ხოლო სხვა შემოსავლების პროგნოზი კი - 7,1 %-ის გადაჭარბებით, რაც შეეხება გრანტებს, ფაქტობრივად მიღებული იქნა პროგნოზირებულზე 16,4%-ით ნაკლები სახსრები.

19. მიუხედავად საპროგნოზო მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულებისა, 2008 წელთან შედარებით 379,8 მლნ. ლარით შემცირდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობა. ამასთან კლებას ადგილი აქვს გადასახადის ყველა სახეობაში.


**სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტიური ოდენობა
(მლნ ლარი)**




საკუთარი შემოსავლები (მლნ. ლარი)




**2006-2009 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული
გრანტების ოდენობა
(მლნ. ლარი)**




**2009 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული
შემოსავლების სტრუქტურა**



საკუთარი შემოსავლებისა და გრანტების წილი
სულშემოსავლებში




2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული
გადასახადების სტრუქტურა



არაფინანსური აქტივების კლება

20. წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა არაფინანსური აქტივების კლებიდან (სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავალი. 2009 წლის განმავლობაში შემოსულობების ამ სახიდან მიღებულმა შემოსავალმა 160.3 მლნ. ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებლის 95,4 %-ს შეადგენს. 2009 წელს სახელმწიფო ქონების გასხვისებიდან/პრივატიზებიდან, წინა წლებთან შედარებით, მიღებულია 3,2 - 3,8-ჯერ ნაკლები შემოსავალი.


2006-2009 წლებში არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსავლები (მლნ. ლარი)



ფინანსური აქტივების კლება

21. ფინანსური აქტივების კლების 2009 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი გადაჭარბებით 102,4 % პროცენტით შესრულდა და მან 227.6 მლნ. ლარი შეადგინა: ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული თანხების მოცულობა 14,8-ჯერ აღემატება 2008 წელს ამ მუხლით მიღებულ შემოსავლებს.


2006-2009 წლებში ფინანსური აქტივების კლებით (ნაშთის გამოკლებით) მიღებული შემოსავლები (მლნ. ლარი)




დაგეგმილი გადასახდელების მაჩვენებლების შესრულება

22. 2009 წელს ბიუჯეტიდან გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტობრივმა მოცულობამ 6 754 106.8 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 97,1% შეადგინა.
23. განსაკუთრებით დიდია სხვაობა საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით ფინანსური აქტივების ზრდის (*პროცენტები, დივიდენდები, რენტა*) სახით განხორციელებული გადახდების მოცულობაში და იგი გეგმის მხოლოდ 78,3%-ს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაგეგმილზე მნიშვნელოვნად ნაკლები ოდენობის შესახების გაცემით აიხსნება.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ოდენობა
(მლნ ლარი)



საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების
სტრუქტურა




ხარჯები

24. გადასახდელების საერთო მოცულობიდან ხარჯების დაზუსტებული მოცულობა წლის ბოლოს 5 468,2 მლნ. ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც 2009 წლის 4


დეკემბერს პარლამენტის მიერ მიღებული წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მოცულობაზე 8,0 მლნ. ლარით ნაკლებია.

25. ხარჯების მიხედვით ბიუჯეტის საკასო შესრულებამ 5 367.27 მლნ. ლარი შეადგინა, შესაბამისად, დაუფინანსებელი ხარჯების მოცულობა 101.0 მლნ. ლარია, რაც ძირითადად მოდის საქონელი და მომსახურება, სუბსიდიები და სხვა ხარჯების მუხლებზე, რომელთა მიხედვით გეგმის შეუსრულებლობა საერთო ჯამში 88.6 მლნ. ლარია. აღნიშნული მიუთითებს იმ ხარვეზებზე, რომლებიც თან სდევს საბიუჯეტო დაგეგმვას; ხარჯების ამ ნაწილის დაზოგვა ნიშნავს, რომ ამ ოდენობით ვერ დაფინანსდა სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა ან ღონისძიება.
26. მიუხედავად შრომის ანაზღაურებაზე მიმართული სახსრების მოცულობის 28.5 მლნ. ლარის ოდენობით ზრდისა (2008 წელთან შედარებით) საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში არ არის მოცემული მხარჯავ დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა ფაქტობრივი რიცხოვნობა, რის გამოც ვერ დგინდება წლიური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობის ზღვრული ოდენობის ლიმიტის დაცვის მდგომარეობა (მთავრობის ანგარიშში ამ ნაწილში არასრულია), ერთ მუშაკზე გაანგარიშებული შრომის ანაზღაურების ხარჯების საშუალო წლიური ფაქტობრივი მაჩვენებელი და ადმინისტრაციული ხარჯების მართვის მდგომარეობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები (მლნ ლარი)




სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები



ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

27. მთავრობის ანგარიშის მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კლასიფიკაციის შესაბამისად, წლიური ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული გადასახდელები არ შესრულებულა არც ერთი სფეროს მიხედვით და შეუსრულებლობამ საერთო ჯამში 161.5 მლნ. ლარი ანუ 2,5% შეადგინა.
28. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის საერთო მოცულობაში, ასიგნებებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი (25%) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე მოდის. სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ სფეროს დაფინანსება (საკასო ხარჯი) 12.9 მლნ. ლარით აღემატება 2009 წლის 4 დეკემბერს დამტკიცებულ მოცულობას და 213.4 მლნ. ლარით აღემატება 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

**ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის
მაჩვენებლის ფუნქციონალური სტრუქტურა**



ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების მაჩვენებლების შესრულება

29. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი ფინანსური დახმარების მოცულობა 622.5 მლნ. ლარის ოდენობით განისაზღვრა, მათ შორის, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი დახმარების მოცულობამ – 50.2 მლნ. ლარი, ხოლო თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი დახმარების მოცულობამ 572.3 მლნ. ლარი შეადგინა.

30. ანგარიშის მიხედვით სხვა დონის ბიუჯეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარების გეგმის დაზუსტების შემდეგ, ამ დახმარების მთლიანი მოცულობა 44,2 %-ით გაიზარდა და 847.3 მლნ. ლარით (სხვაობა-275.0 მლნ. ლარი) განისაზღვრა. საკასო ხარჯების მიხედვით დაზუსტებული გეგმა 99,3%-ით შესრულდა.

სარეზერვო და სხვა საბიუჯეტო ფონდები

31. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ და „საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო (50.0 მლნ. ლარი), საქართველოს მთავრობის სარეზერვო (50.0 მლნ. ლარი) და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების (182.6 მლნ. ლარი) ფონდები.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

32. ანგარიშის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებებით პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 49 998.0 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა (საკასო) ხარჯმა - 49 858.8 ათასი ლარი.
33. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ანგარიშის შესაბამისად, წლის პირველ ნახევარში საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მთლიანი მოცულობა უკვე 51.2 მლნ. ლარს, ხოლო ხაზინიდან განხორციელებული ფაქტობრივი გადახდები - 50.0 მლნ. ლარს შეადგენდა.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

34. წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 48.66 მლნ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 47.30 მლნ. ლარი. მათგან 23,0 მლნ. ლარის ოდენობის საკასო ხარჯი გაწეულია 2009 წლის 1 ივლისის შემდგომ პერიოდში.
35. საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ ანგარიშის შესაბამისად,

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან წლის პირველ ნახევარში გაწეული საკასო ხარჯი 41.3 მლნ. ლარს შეადგენდა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

36. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის კანონით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა 123. 0 მლნ. ლარით განისაზღვრა, განხორციელებული 2 ცვლილების შემდეგ მისი მოცულობა 48,5 % პროცენტით გაიზარდა და 182.6 მლნ. ლარის ოდენობით დამტკიცდა.
37. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, საქართველოს მთავრობის 32 სხვადასხვა განკარგულების შესაბამისად, ფონდიდან გამოყოფილმა ასიგნებების მოცულობამ 213.2 მლნ. ლარი შეადგინა, რაც თავდაპირველი გეგმით განსაზღვრულ ოდენობას 30.6 მლნ. ლარით აღემატება. ამასთან, ანგარიშში არაფერია ნათქვამი თანხების ათვისების შესახებ.


⇒ **კვლავ დღის წესრიგშია სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა სახის ფონდების შექმნისა და მათი გამოყენების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საკითხი**, რადგანაც „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი კვლავინდებურად ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა სახელწოდებით მითითებულ რიგ ფონდებსა და ღონისძიებებს, რომელთა ძირითადი ნაწილი (გარდა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებისა), დანიშნულებიდან და გამოყენების წესებიდან გამომდინარე, სარეზერვო ფონდების ხასიათს ატარებს.

საქართველოს სახელმწიფო ვალის ფორმირება და მართვა

38. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 30 დეკემბრის კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2009 წლის ბოლოსათვის განისაზღვრა არა უმეტეს 6 256 800.0 ათასი ლარისა. კანონში შეტანილი ორი ცვლილების შედეგად იგი 21,6%-ით ანუ 7 610 300.0 ათას ლარამდე გაიზარდა.
39. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთის ფაქტობრივი მოცულობა 5 700 554.0 ათას ლარს შეადგენს (წლიური ზღვრული მოცულობის 96,17%-ს): 3 908 524.0 ათასი ლარი -მრავალმხრივი კრედიტორებისაგან,

938 910.0 ათასი ლარი - ორმხრივი კრედიტორებისაგან, 10 219.0 ათასი ლარი - სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტები, ხოლო 842 900.0 ათასი ლარი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებაა.

40. სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრულმა მოცულობამ, რომელიც კანონით 1 682 900.0 ათასი ლარით იყო განსაზღვრული, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფაქტობრივად, 1 682.4 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია -640 846.0 ათასი ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციისათვის - 107 000.0 ათასი ლარი, სახაზინო ვალდებულებების ემისიით მიღებული სახსრები - 259 500.0 ათასი ლარი, ე.წ. „ისტორიული ვალები” - 675 070.0 ათასი ლარი.



41. უცხოური კრედიტებითა და სახელმწიფოს შიდა საკრედიტო რესურსებიდან გაცემული სესხების ძირითადი თანხის სახით რიცხული ვალდებულება 2009 წლის 31 დეკემბრისათვის, შესაბამისად, შეადგენს 368 109.9 ათას ლარს და 42 032.8 ათას დოლარს.

42. უცხოური კრედიტებით გაცემული სახსრებიდან 2009 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებულ იქნა 29 798.84 ათასი ლარი.

43. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 56-ე მუხლის შესაბამისად, ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის დაუფარავი ვალების თაობაზე. წარმოდგენილ ანგარიშში არაფერია ნათქვამი მხარჯავი დაწესებულებების ანგარიშზე რიცხული დავალიანებების შესახებ, მაშინ როდესაც საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებულმა აუდიტებმა ცხადყო, რომ უმეტეს მხარჯავ


დაწესებულებათა ბალანსზე ირიცხებოდა ხანდაზმულ დავალიანებათა თანხები, რომელთა აღმოსაფხვრელად გასატარებელია ქმედითი ღონისძიებები.

44. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მხარჯავ დაწესებულებებზე რიცხულმა კრედიტორულ დავალიანებათა საერთო მოცულობამ 200 მლნ. ლარს, დებიტორულმა კი - 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა.
45. აუდიტის შედეგად გამოვლინდა ფაქტები, როდესაც ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებებში არ ტარდება ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაციები, შედეგად არსებობს ალურიცხავი და გაუშიფრავი ვალდებულებები.


საჯარო სამართლის იურიდიული პირები

46. ანგარიშისაგან დამოუკიდებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და საქართველოს კონტროლის პალატას წარუდგინა საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ების) მიერ 2009 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები, რომლებშიც ასახულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 6 აპრილის N71 დადგენილებით განსაზღვრული მხოლოდ 27 სსიპ-ის ანგარიში.
47. ვერც ანგარიშებიდან, ვერც საქართველოს მთავრობის დადგენილებიდან და ვერც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ვერ დგინდება, თუ რა პრინციპით იქნა შერჩეული 2100-ზე მეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან მხოლოდ ზემოაღნიშნული 27 სსიპ.
48. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით აღნიშნული 27 სსიპ-ის მართვაში არსებული სოლიდური მოცულობის ფინანსებიდან 50% წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსებას, 22% - გაწეული მომსახურების შედეგად მიღებულ სახსრებს, ხოლო 28% - მიღებულ გრანტებს, ანუ განსხვავებულად იმართება დიდი ოდენობის საჯარო ფინანსები.

სსიპ-ების შემოსავლების სტრუქტურა



სსიპ-ების ხარჯების სტრუქტურა



49. სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულების მიერ *საჯარო სამართლის იურიდიულ პირების დაფუძნებამ ზრდადი* და საბიუჯეტო თვალსაზრისით გარკვეულწილად არასასურველი ტენდენციის სახე მიიღო რადგან რეალურად სახელმწიფოს/ თვითმმართველობის მიერ გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავლები აღირიცხება არა საბიუჯეტო ანგარიშზე, არამედ სხვადასხვა კომერციულ ბანკებში გახსნილ საბანკო ანგარიშებზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულებაზე.

50. მთელი რიგი იურიდიული პირის შემოსავლის ერთადერთ წყაროს გაწეული მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ როგორც წესი, სახელმწიფო, მის მიერ კონტროლირებადი სუბიექტის მეშვეობით,


პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე გვევლინება ეკონომიკურ აგენტად, რაც რიგ შემთხვევებში არასამართლიანია.

51. საჯარო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით ხორციელდება (უკვე არსებული თუ ამ მიზნით შექმნილი) უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების მართვა.
52. საანგარიშო პერიოდში სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი პროექტების კრედიტებისა და გრანტების მოცულობამ 230 678.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი მოცულობის მხოლოდ 40.5% -ია.
53. დონორების მიერ გამოყოფილი დაფინანსებისა და გაწეული საკასო ხარჯების შესახებ სახაზინო სამსახურში ინფორმაცია, პროექტების განმახორციელებელ სსიპ-ებს (იმ პროექტებისათვის, რომელთა ათვისება ხორციელდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად), წარდგენილი აქვთ მხოლოდ წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში - ისიც 59 პროექტიდან მხოლოდ 15-ზე. ანგარიშების წარდგენა ხდება მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროებისათვის განხორციელებული პროექტების ფინანსური ანგარიშების შესახებ პოსტფაქტუმ ხდება ცნობილი. ამ მოვლენას სისტემატური და უკვე ტენდენციის ხასიათი აქვს.
54. 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველი ვარიანტით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტად დეკლარირებული იყო არსებული სსიპ-ების რიცხოვნობის (მონაცემთა ბაზის) დადგენა, თუმცა ბიუჯეტის პროექტის შემდგომ ვარიანტებში და ბოლოს, მიღებულ კანონში სახელმწიფოს (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით) პრიორიტეტთა შორის ზემოაღნიშნულ საკითხს ვეღარ ვხვდებით, რაც სისტემური თვალსაზრისით გაუმართლებელია.


სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო და მისი დაბალანსების მდგომარეობა

55. საქართველოს პარლამენტის მიერ 2008 წლის 30 დეკემბერს მიღებული 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების დადგენილი მაჩვენებლები ორჯერ შეიცვალა. თავდაპირველი ბიუჯეტით შემოსავლების ხარჯებზე მეტობა 258.2 მლნ. ლარი უნდა ყოფილიყო (დადებითი საოპერაციო სალდო), ხოლო 2009 წლის 4 დეკემბრის კანონით ხარჯების შემოსავლებზე მეტობა დამტკიცდა 530.6 მლნ. ლარის ოდენობით (უარყოფითი საოპერაციო სალდო).

56. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის (ბიუჯეტის მთლიანი სალდო) ოდენობა 2009 წლის 4 დეკემბრის კანონით 1299.3 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც თავდაპირველად დამტკიცებულს 2-ჯერ აღემატება.
57. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაბალანსებლად ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი დაიგეგმა 543.6 მლნ. ლარის, ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი კი - 755.7 მლნ. ლარის ოდენობით.
58. ბიუჯეტის დეფიციტი ძირითადად დაბალანსდა აქციებისა და სხვა კაპიტალის გასხვისებით მიღებული თანხებით-181.7 მლნ. ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის 52%-ის 391,6 მლნ. ლარი და 1 046.4 მლნ. ლარის საგარეო და საშინაო სესხის აღებით მიღებული თანხების გამოყენებით.



სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო
(ბიუჯეტის პროფიციტი/დეფიციტი)
(მლნ.ლარ)



გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებსა და აგრეთვე საკასო შესრულების მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი შეუსაბამობების თაობაზე ანგარიშში მოცემული განმარტებების შესახებ

59. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 56-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში დეტალური განმარტებები უნდა იყოს მოცემული ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის დამტკიცებულ მაჩვენებლებსა და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის, მხოლოდ 30%-იანი გადახრის და/ან დაზუსტებულ გეგმასა და საკასო შესრულებას შორის 15%-იანი გადახრის შემთხვევაში. აღნიშნულმა დებულებებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა საბიუჯეტო სისტემის გამჭვირვალობისა და ასევე ანგარიშვალდებულების პრინციპების მოქმედების არეალი -განმარტებები მოითხოვება მხოლოდ ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელებზე და ისიც იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებულ ბიუჯეტსა და ბიუჯეტის საკასო შესრულებას შორის სხვაობა პრაქტიკულად 30% - 45%-ს აღემატება.
60. ანგარიშში მოცემული განმარტებები, როგორც წესი, ფორმალური, დეკლარაციული ხასიათისაა; არის შემთხვევები, როდესაც არსებითი წინააღმდეგობა ანგარიშში მოცემულ განმარტებებსა და ამავე ანგარიშში მოცემული პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგებს შორის.
61. იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ ??? ამოქმედდა გასული საბიუჯეტო წლის ბოლოს, როდესაც საბიუჯეტო პროცედურები პრაქტიკულად დასრულებული იყო, 58-ე და 59-ე პუნქტებში აღნიშნული გარემოებები ძნელია ჩაითვალოს შეუსაბამოდ - სხვა შემთხვევაში (მიმდინარე და მომდევნო წლებისათვის) ეს გარემოება მიჩნეულ უნდა იქნეს საბიუჯეტო სფეროსა

და საჯარო რესურსების მართვის არსებით პრობლემად. სწორედ ამიტომ კონტროლის პალატა შემოიფარგლება მხოლოდ საერთო, თუმცა განზოგადებული დასკვნით.

მხარჯავი დაწესებულებები მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების აღწერის შესახებ

62. სრულად არ არის დაცული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 56-ე მუხლის „თ“ პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მხარჯავი დაწესებულებების მიერ წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მიხედვით.

63. ანგარიშის მეექვსე თავში მოცემული ინფორმაციები არასრულია, კერძოდ, არ არის აღწერილი შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ყველა აქტივობა, დაგეგმილი პრიორიტეტების მიხედვით. ინფორმაციები ზოგადია და ხშირ შემთხვევაში არ არის მოცემული ინფორმაცია ამა თუ იმ პროგრამის ან ღონისძიების ღირებულებით, საგემო და ფაქტობრივად შესრულებულ მოცულობაზე.

64. სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მხარჯავი დაწესებულების მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების რაოდენობა ზოგჯერ რამდენიმე ათეულს აღწევს.

⇒ **სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვაში არსებულ ნაკლოვანებებზე** მიუთითებს ფაქტი, როდესაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ საკუთარი ფინანსური რესურსების პირობებში, სხვადასხვა ღონისძიების დასაფინანსებლად, დამატებით მოითხოვა და მიიღო კიდეც ეს თანხები საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან.

N	მხარჯავი დაწესებულების დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტებების რაოდენობა
1	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო	65
2	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	61

3	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	59
4	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	40
5	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო	31
6	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	24
7	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	22
8	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	22
9	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	20
10	საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო	19
11	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	12
12	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	10

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

65. 2009 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსულობების 64,7%-ს შეადგენდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარება (ტრანსფერი).
66. 2009 საბიუჯეტო წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში შეტანილ იქნა 3 ცვლილება და საბოლოო სახით აფხაზეთის 2009 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებული საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა სულ 12267.52 ათასი ლარით; საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 12419.10 ათასი ლარი ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,24 %.
67. იმის გათვალისწინებით, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანო და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს კონტროლის პალატას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი აქვს მოხსენება ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარდგენილი ანგარიშის თაობაზე,

წინამდებარე მოხსენებაში მოცემულია მხოლოდ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

68. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ”, დამტკიცდა 2008 წლის 30 დეკემბერს აღნიშნული კანონის შესაბამისად, 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის როგორც შემოსულობები, ასევე გადასახდელები 131402.5 ათასი ლარით განისაზღვრა.
69. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების შესაბამისად, 2009 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში სამჯერ შევიდა ცვლილება (ბოლო ცვლილება განხორციელდა 2009 წლის 20 ოქტომბერს) და შედეგად შემოსულობების მოცულობა შემცირდა 1161.,4 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელების მოცულობა - 10776.8 ათასი ლარით.
70. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 2009 წელს განისაზღვრა 11978., 1 ათასი ლარით. ფაქტობრივი საკასო შესრულება შეადგენს 117954. 6 ათას ლარს, გეგმის - 98,5 %-ს.
71. იმის გათვალისწინებით, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანო და საქართველოს კონტროლის პალატას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი აქვს მოხსენება ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარდგენილი ანგარიშის თაობაზე, წინამდებარე მოხსენებაში მოცემულია მხოლოდ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები.

რეკომენდაციები

72. არსებული რეგულაციების შესაბამისად წარმართული აუდიტის შედეგებმა, აგრეთვე ამ რეგულაციებისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებამ, გამოავლინა ის ნაკლოვანებები, რომლებზეც საქართველოს კონტროლის პალატა ამახვილებს ყურადღებას და საჭიროდ მიიჩნევს მსჯელობის დაწყებასა და გადაწყვეტილებების მიღებას;
73. საჯარო ფინანსების მართვის რეგულაციები და სისტემა:

73.1. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (მათ შორის, შიდა აუდიტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემის, აგრეთვე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შემოღების საკითხი იქცეს სახელმწიფოს განსაკუთრებულ პრიორიტეტად და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნას ფართო წარმომადგენლობის კომისია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჯარო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის პროცესის დაგეგმვასა და მიმდინარეობის მონიტორინგზე;

73.2. შეიცვლება საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის აუდიტის წარმართვის, ანგარიშების მომზადება-წარმოდგენის ვადები, პროცედურები და წესი;

73.3. შეიცვლება ან დაზუსტდება საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი რეგულაციები ბიუჯეტის პარამეტრების ზღვრების შესახებ;

74. პროგრამული ბიუჯეტის განხორციელებისა და მისი აუდიტისთვის საჭირო რეგულაციები: ნორმატიული აქტით განისაზღვროს პროგრამების შეფასების/თვითშეფასების პრონციპები და კრიტერიუმები;

75. საბიუჯეტო კოდექსში, შესაბამისად, წლიური ბიუჯეტის კანონში, გათვალისწინებული იქნება ჩანაწერი, რომლითაც საქართველოს საპატრიარქო არ დაექვემდებარება საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტს, როგორც ცალკე მხარჯავი დაწესებულება.